


სექტორის მიმოხილვა

ზოგადი ტენდენციები


საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) ახლახან გამოაქვეყნა 2020 წლის მეორე კვარტლის ეკონომიკური მიმოხილვა. გამოცემის თანახმად, მეორე კვარტალში, 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, სოფლის მეურნეობის სექტორში წარმოება 4.7%-ით გაიზარდა, სოფლის მეურნეობის წილმა კი ქვეყნის მშპ-ის 10.2% შეადგინა. 2020 წლის მეორე კვარტალში სოფლის მეურნეობაში გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც და თითქმის ექვსჯერ აღემატა 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელს. თუმცა სოფლის მეურნეობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შედარებით დაბალი იყო ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით; სოფლის მეურნეობაში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 3% შეადგინა.

მთლიანი გამოშვების სტრუქტურა, II კვარტალი, 2020



წყარო: საქსტატი, 2020 წ.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, II კვარტალი, 2020



2020 წლის 26 აგვისტოს საქართველოში რთველი დაიწყო. წელს საქართველოს მთავრობა ასუბსიდირებს 2020 წლის ყურძნის მოსავალს, რათა ყურძნის მწარმოებლებს პროდუქციის რეალიზაციაში დაეხმაროს. რეაქტიულის ან კახური მწვანეს 1 კგ-ზე, 0.8 ლარიდან 0.3 ლარი სუბსიდირებულია. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო ყურძნის შესყიდვაშიც ჩაერთვება.

1-ლი ოქტომბრის მონაცემებით, წელს რთველში ღვინის 165 მწარმოებელი და დაახლოებით 21 ათასი მევენახე იღებს მონაწილეობას; გაიყიდა დაახლოებით 227.2 ათასი ტ. ყურძენი, მევენახეების შემოსავალმა კი 235.8 მლნ. ლარი შეადგინა. რადგან რთველი ჯერ არ დასრულებულა, საბოლოო მონაცემი ყურძნის გაყიდვებისა და შესაბამისი შემოსავლების შესახებ ჯერ არ არის ხელმისაწვდომი.

გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა და ფერმერთა შემოსავალი





წყარო: ღვინის ეროვნული სააგენტო, 2020 წ.; ვარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2020 წ.
შენიშვნა: 2020 წლის მონაცემები მოიცავს მონაცემებს 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით.

ფასები

ადგილობრივი ფასები

თვიურ კრილში, 2020 წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში, ქვეყანაში ფასების დონე შემცირდა. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) 2020 წლის აგვისტოში თითქმის უცვლელი დარჩა (-0.02%), 2020 წლის ივლისთან შედარებით. ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ფასები უმნიშვნელოდ, 0.5%-ით შემცირდა, ივნისში კი - 1.4%-ით.


2020 წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში, ფასები შემცირდა სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფშიც. 2020 წლის აგვისტოში, ივლისთან შედარებით, სურსათის ფასები უმნიშვნელოდ, 0.5%-ით შემცირდა, ხოლო ივნისსა და ივლისში ფასების ცვლილებამ თვიურ კრილში, შესაბამისად, 4,8% და 1.6% შეადგინა.



წყარო: საქსტატი, 2020 წ.
შენიშვნა: ინდექსის მნიშვნელობა წინა თვეში უდრის 100-ს.

წლიურ კრილში, 2020 წლის ივნის-აგვისტოში, სფი იზრდებოდა. აღნიშნულ პერიოდში, როგორც სამომხმარებლო ფასებმა, ისე სურსათის ფასებმა თავის მაქსიმუმს ივნისში მიაღწია და წლიურმა ცვლილებამ 6.1% და 13.6% შეადგინა, შესაბამისად.

2020 წლის აგვისტოში, წინა წელთან შედარებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები 9.2%-ით გაიზარდა, რამაც სფი 2.88 პროცენტული პუნქტით გაზარდა. მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა შემდეგ ჯგუფებში შემავალმა პროდუქტებმა:



ხილი და ყურძენი (18%[⌈])

ყავა, ჩაი და კაკაო (14.9%[⌈])



თევზი (13.5%[⌈])

წყარო: საქსტატი, 2020 წ.

უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე

2016 წლის ნოემბრის შემდეგ სურსათის ფასები წინა წელთან შედარებით (წლიურ ჭრილში) უფრო მაღალი იყო. 2020 წლის აპრილში სურსათის ფასების წლიურმა ინფლაციამ მაქსიმალურ ნიშნულს – 16.1%-ს – მიაღწია, რაც, ძირითადად, მიწოდების ჯაჭვში COVID-19-ით გამოწვეული შეფერხებებით იყო განპირობებული. ლარის გაუფასურებამ ფასები კიდევ უფრო გაზარდა. შეზღუდვების შესუსტებისა და სასოფლო-სამეურნეო აქტივობების განახლების შემდეგ, ბაზარზე სეზონური პროდუქტები გამოჩნდა და, შესაბამისად, სურსათის ინფლაციის მაჩვენებელმა წლიურ ჭრილში შემცირება დაიწყო. 2020 წლის აგვისტოში, წინა წელთან შედარებით, სურსათის ფასები 9.2%-ით გაიზარდა. ფასები ყველაზე მეტად გაიზარდა შემდეგ კატეგორიებში:


ხილი და ყურძენი: ამ ჯგუფში ყველაზე მეტად ვაშლის ფასი (37%-ით) გაიზარდა, რაც ვაშლის ექსპორტის ზრდით აიხსნება. 2020 წელს **ვაშლის კარგი მოსავალი** იყო და საქართველომ მეტი ვაშლის ექსპორტი მოახდინა: **ვაშლის ექსპორტის რაოდენობა თითქმის ხუთჯერ მეტია**, ვიდრე გასულ წელს (MEPA, 2020). შედეგად, შესაძლოა, ადგილობრივ ბაზარზე მიწოდების დეფიციტი გაჩნდა, რამაც ვაშლის ფასის ზრდა გამოიწვია.

ყავა, ჩაი და კაკაო: ამ ჯგუფში, წლიურად, ყველაზე მეტად ყავის ფასები (17%-ით) გაიზარდა.

საქართველო არის ამ პროდუქტის წმინდა იმპორტიორი, შესაბამისად, საერთაშორისო ბაზარი გავლენას ახდენს ყავის ფასებზე. **ყავის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICO)** თანახმად, ყავის საერთაშორისო ფასები შეზღუდული წარმოების გამო გაიზარდა: 2020 წლის აგვისტოში, წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო ბაზარზე ყავის ფასი 19%-ით გაიზარდა. ლარის გაუფასურებაც უარყოფითად აისახა ყავის ფასებზე.

თევზი: ამ ჯგუფში ფასები ყველაზე მეტად თევზის კონსერვსა (29%) და გაყინულ თევზზე (12%) გაიზარდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ამ პროდუქტების იმპორტს ახდენს, ამ კატეგორიაში გამკაცრებული ფასების მთავარი მიზეზი ლარის გაუფასურება იყო.

სურსათის ფასების ინფლაცია (ნოემბერი 2016- აგვისტო 2020)




წყარო: საქსტატი, 2020 წ.

საერთაშორისო ფასები

2020 წლის ივნისსა და ივლისში საერთაშორისო ფასებმა წლიურ ჭრილში კლების ტენდენცია შეინარჩუნა: 2020 წლის აპრილიდან საერთაშორისო ფასები უფრო დაბალი იყო, ვიდრე გასულ წელს. სურსათის ფასების კლება აშშ დოლარის გაუფასურებით იყო გამოწვეული. 2020 წლის აგვისტოში სურსათის ფასების ინდექსი, რომელსაც სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ითვლის, გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით, 2.7%-ით გაიზარდა. ფასები გაიზარდა მცენარეულ ზეთზე (20%), ბურღულეულზე (8%), შაქარსა (7%) და რძეზე (2%), ხორცის ფასი კი 8%-ით შემცირდა, რაც ხორცის მიწოდების შემცირებით იყო გამოწვეული.

საერთაშორისო ფასების წლიური ცვლილება (ივნისი - აგვისტო 2020)





წყარო: FAO, 2020 წ.

საერთაშორისო ვაჭრობა

საქართველოს ექსპორტმა 2020 წლის იანვარ-აგვისტოში 2,071 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 15%-ით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (2,430 მლნ. აშშ დოლარი). ამავდროულად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი 1%-ით გაიზარდა, 521 მლნ. აშშ დოლარიდან 2019 წელს 528 მლნ. აშშ დოლარამდე 2020 წელს.

მსგავსი ტენდენცია შეინიშნება იმპორტის შემთხვევაშიც. 2020 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში, საქართველოს მთლიანი იმპორტი 17%-ით (5,999 მლნ. აშშ დოლარიდან 4,951 მლნ. აშშ დოლარამდე) შემცირდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი კი 1%-ით (755 მლნ. აშშ დოლარიდან 763 მლნ. აშშ დოლარამდე) გაიზარდა. იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიამ გამოიწვია სავაჭრო შეზღუდვები და უარყოფითად იმოქმედა მთელ მსოფლიოში მოსახლეობის შემოსავალზე, საერთაშორისო ვაჭრობის შემცირება გასაკვირი არ არის.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის ზრდა მიუთითებს სოფლის მეურნეობის სექტორის მნიშვნელობაზე ეკონომიკისთვის.




წყარო: საქსტატი, 2020 წ.

შენიშვნა: აგრო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს სურსათს

ამაზე მიუთითებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის გაზრდილი წილი საქართველოს მთლიან ვაჭრობაში. აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში გაიზარდა 21%-დან 2019 წლის იანვარ-აგვისტოში 25%-მდე 2020 წლის იანვარ-აგვისტოში. წლიურად, აგრო იმპორტის წილი მთლიან იმპორტში ასევე გაიზარდა 13%-დან 15%-მდე.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტის წილი მთლიან იმპორტში შედარებით სტაბილური იყო და 13%-დან 24%-მდე მერყეობდა. მაშინ, როდესაც აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში უფრო მერყევი იყო და 2003, 2005 და 2016 წლებში მთლიანი ექსპორტის მესამედზე მეტს შეადგენდა.

მონაცემების თანახმად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტ-ექსპორტის წილი მთლიან ვაჭრობაში დადმავალი ტრენდით ხასიათდება. თუმცა 2020 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის წილი მთლიან ვაჭრობაში გაიზარდა COVID-19-ით გამოწვეული სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების გამო. აგრო ვაჭრობის წილის შემცირება მთლიან ვაჭრობაში შესაძლოა, მიუთითებდეს საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის დივერსიფიკაციის უფრო მაღალ მაჩვენებელზეც.



წყარო: საქსტატი, 2020 წ.

შენიშვნა: აგრო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს საკვებს; *2020 წელი მოიცავს იანვარ-აგვისტოს მონაცემებს.

პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა აგროტურიზმის შესახებ კანონპროექტი პარლამენტში მოსმენაზე წარადგინა

2020 წლის 28 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა პარლამენტში აგროტურიზმის შესახებ კანონპროექტი წარადგინა. კანონპროექტის მთავარი მიზანია საქართველოს სოფლის მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერება, მათი ეკონომიკური ჩართულობის უზრუნველყოფა, შემოსავლების გაზრდა და დასაქმების ხელშეწყობა. კანონპროექტი ითვალისწინებს საგადასახადო შედავათებს (დღგ, სამემოსავლო და სხვა გადასახადებისგან განთავისუფლება) და სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებით აგროტურისტული ობიექტების მხარდაჭერას.

დამატებითი ინფორმაციისთვის: <https://bm.ge/ka/article/agroturistuli-obieqti-10-wlit-gadasaxadebisgan-gatavisufldeba---rogor-miigebt-statuss/64619>

მიკრო და მცირე საწარმოების მხარდაჭერის პროგრამა იწყება 2020 წლის 5 ოქტომბერს

5 ოქტომბრიდან გაგრძელდება „აწარმოე საქართველოს“ პროგრამა მცირე მეწარმეების მხარდასაჭერად. პროგრამის ბიუჯეტი 41 მლნ. ლარამდე გაიზრდება. ამ პროგრამაზე ინფორმაცია მოქალაქეებს შეუძლიათ მოიძიონ თავიანთი ქალაქებისა და რეგიონების სათემო ცენტრებსა და იუსტიციის სახლებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის: <https://bm.ge/ka/article/mikro-da-mcire-mewarmeobis-xelshewyobis-programa-5-oqtombers-daiwyeba---pirobepi/64332/>

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების
პოლიტიკის კვლევითი ცენტრი
<http://iset-pi.ge/index.php/en/research/aprc>

აგტორები:
სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge
სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge